პროექტი

საქართველოს მთავრობის

დადგენილება N

ქ. თბილისი _____

სასოფლო-სამეურნეო კულტურათა სახეობების ჯიშებისა და ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების სახეობების დასახელებების შესაბამისობის შესახებ

მუხლი 1. სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 75-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული „სასოფლო-სამეურნეო კულტურათა სახეობების ჯიშებისა და ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების სახეობების დასახელებების შესაბამისობის შესახებ“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2027 წლის 1 ივნისიდან.

პრემიერ მინისტრი **ირაკლი კობახიძე**

სასოფლო-სამეურნეო კულტურათა სახეობების ჯიშებისა და ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების სახეობების დასახელებების შესაბამისობის შესახებ

მუხლი 1. მიზანი

საქართველოს მთვრობის დადგენილება: „სასოფლო-სამეურნეო კულტურათა სახეობების ჯიშებისა და ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების სახეობების დასახელებების შესაბამისობის შესახებ“ (შემდგომ - წესი) ადგენს დეტალურ წესებს სასოფლო-სამეურნეო კულტურათა სახეობების ჯიშების და ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების სახეობების დასახელების შესაბამისობის თაობაზე.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ამ წესის მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ახლომონათესავე სახეობები - სახეობები, რომლებიც მოცემულია დანართში;

ბ) ჯიშების ოფიციალური რეესტრი - სასოფლო-სამეურნეო კულტურების სახეობების ჯიშების ეროვნული კატალოგი;

გ) ჯიში აღარ არსებობს - ჯიში, რომლის მასალაც აღარ არსებობს;

დ) დასახელებას არ შეუძენია რაიმე განსაკუთრებული მნიშვნელობა - ვითარება, როდესაც ჯიშის დასახელება, რომელიც ჯიშების ოფიციალურ რეესტრშია შესული ითვლება მნიშვნელობა დაკარგულად, რადგან გავიდა 10-წლიანი პერიოდი ამ რეესტრიდან წაშლიდან, თუ არ არსებობს რაიმე სხვა განსაკუთრებული გარემოება.

2. ამ წესის მიზნებისთვის ასევე გამოიყენება: „მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის საერთაშორისო კონვენციით“ და „ცხოველთა და მცენარეთა ახალი ჯიშების შესახებ საქართველოს კანონით“ განსაზღრული ტერმინები, თუ ამ წესით სხვა რამ არ არის დადგენილი.

მუხლი 3. ჯიშების დასახელებათა შესაბამისობა

1. ჯიშის დასახელება შესაბამისობაშია, თუ მისი დასახელების აღნიშვნასთან დაკავშირებით არ არსებობს რაიმე სახის დამაბრკოლებელი გარემოება,
2. ჯიშის დასახელების აღნიშვნასთან დაკავშირებით დამაბრკოლებელი გარემოებებია:

ა) ჯიშის დასახელების გამოყენება დაუშვებელია თუ დაკმაყოფილებულია ჯიშზე უფლების მქონე მესამე პირის პრეტენზია, რომელსაც აქვს წინმსწრები უფლება, როგორც ეს მითითებულია ამ წესის მე-4 მუხლის პირველ პუნქტში;

ბ) ჯიშის დასახელება წინააღმდეგობაშია გეოგრაფიულ აღნიშვნებთან, ადგილწარმოშობის დასახელებასთან, ან ტრადიციულ გარანტირებულ სპეციფიურ მახასიათებლებთან დაკავშირებულ დასახელებებთან, როგორც ეს მითითებულია ამ წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტში;

გ) ჯიშის დასახელებამ შესაძლებელია მისი მომხმარებლისთვის სირთულეები წარმოშვა, ჯიშის დასახელების ამოცნობის ან ზუსტად გამოთქმის თვალსაზრისით, როგორც ეს მითითებულია ამ წესის მე-5 მუხლში;

დ) ჯიშის დასახელება იდენტურია ან შეიძლება აღრეულ იქნა იმ ჯიშის დასახელებასთან, რომლითაც იგივე ან ახლო მონათესავე სახეობის სხვა ჯიში შეტანილია მცენარეთა ჯიშების ოფიციალურ რეესტრში ან საქართველოს ტერიტორიაზე გასავრცელებლად დაშვებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშების ეროვნულ კატალოგში ან რომლითაც სხვა ჯიშის მასალა ბაზარზე იყო განთავსებული, როგორც ეს განსაზღვრულია ამ წესის მე-6 მუხლით;

ე) ჯიშის დასახელებამ შეიძლება დაბნეულობა გამოიწვიოს იგივე ან მონათესავე სახეობის ჯიშის დასახელებასთან მისი ვიზუალური, ფონეტიკური ან კონცეპტუალური მსგავსების გამო, როგორც ეს მითითებულია ამ წესის მე-6 მუხლში;

ვ) ჯიშის დასახელება იდენტურია ან შესაძლოა აღრეულ იქნა იმ დასახელებასთან, რომლებიც ჩვეულებრივ გამოიყენება საქონლის ბაზარზე განსათავსებლად, ან რომლის თავისუფლად გამოყენებაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შესაძლებელია, როგორც ეს მითითებულია ამ წესის მე-7 მუხლში;

ზ) ჯიშის დასახელებამ შეიძლება გამოიწვია აღრევა ან შეცდომაში შეყვანა, როგორც ეს მითითებულია ამ წესის მე-8 მუხლში.

მუხლი 4. მესამე პირის წინმსწრები უფლება

1.მესამე პირის წინმსწრები უფლებით განპირობებული დამაბრკოლებელი გარემოება არსებობს იმ შემთხვევაში, როდესაც ქვეყნის ტერიტორიაზე ჯიშის დასახელების გამოყენების წინააღმდეგ სასაქონლო ნიშნის მფლობელი მესამე პირის მიერ წარდგენილ წინააღმდეგობას საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ორგანო „საქპატენტი“ დააკმაყოფილებს. აღნიშნული დამაბრკოლებელი გარემოება ეხება სასაქონლე ნიშნებს, რომლებიც:

ა) რეგისტრირებულია ჯიშის დასახელების რეგისტრაციამდე;

ბ) ჯიშის დასახელების იდენტურია ან მსგავსია;

გ) რეგისტრირებულია იმ საქონელთან მიმართებით, რომელიც შედგება შესაბამისი ჯიშის იმავე ან ახლომონათესავე სახეობის მცენარეებისგან.

2. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და სურსათის, სპირტიანი სასმელების, არომატიზებული ღვინოებისა და ღვინის პროდუქტების მიმართ მესამე პირის წინმსწრები უფლების სახით დაცული გეოგრაფიული აღნიშვნების, წარმოშობის დასახელებების ან ტრადიციული სპეციფიკის შემთხვევაში, ჯიშის დასახელების გამოყენება დაუშვებელია, თუ ჯიშის დასახელება დაარღვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

3. ამ წესის პირველ პუნქტში მითითებული წინმსწრები უფლებით განპირობებული ჯიშის დასახელების შესაბამისობის დამაბრკოლებელი გარემოება აღარ არსებობს, თუ მიღებულია წინმსწრები უფლების მფლობელის წერილობითი თანხმობა შესაბამის ჯიშთან მიმართებით ამ დასახელების გამოყენებაზე, იმ პირობით, რომ ასეთმა თანხმობამ არ უნდა გამოიწვიოს საზოგადოების შეცდომაში შეყვანა.

4. თუ განმცხადებელს შემოთავაზებული ჯიშის დასახელებაზე მთლიანად ან ნაწილობრივ წინმსწრები უფლება აქვს, შეუძლია mutatis mutandis (შესაბამისი ცვლილებების გათვალისწინებით) გამოიყენოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

5. ჯიშის დასახელებების გამოყენებაზე შეზრუდვა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად (2100/94 რეგულაციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტი).

მუხლი 5. ჯიშის დასახელების ამოცნობასთან ან ზუსტად გამოთქმასთან დაკავშირებული სირთულეები

1. ჯიშის დასახელების ამოცნობასთან ან ზუსტად გამეორებასთან დაკავშირებული სირთულეებით განპირობებული დამაბრკოლებელი გარემოება არსებობს იმ შემთხვევაში, როდესაც ჯიშის დასახელება მის მომხმარებლებს უქმნის სირთულეებს ამ დასახელების ამოცნობის ან ზუსტად გამეორების თვალსაზრისით, შემდეგ შემთხვევებში:

ა) იგი შედგება ან შეიცავს შედარებითი ან აღმატებითი ნაწილებს;

ბ) იგი შედგება ან შეიცავს იმ სახეობების ბოტანიკურ დასახელებებს, რომლებიც შედის სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ან ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების სახეობების ჯგუფში, რომლებსაც მიეკუთვნება ჯიში;

გ) იგი შედგება ან შეიცავს სანაშენე და ტექნიკურ ტერმინებს, თუ მათი გამოყენება სხვა ტერმინებთან ერთად არ შეუშლის ხელს ჯიშის დასახელების აღიარებას;

დ) იგი შედგება ექსკლუზიურად გეოგრაფიული დასახელებისგან, რომელმაც შეიძინა შესაბამისი სახეობის რეპუტაცია;

ე) იგი შედგება ერთი ასოსგან ან ციფრისგან ან მხოლოდ ციფრებისგან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს წარმოადგენს გარკვეული ჯიშების აღნიშვნის დამკვიდრებულ პრაქტიკას;

ვ) იგი შედგება ან შეიცავს ძალიან ბევრ სიტყვას ან ელემენტს, თუ სიტყვათა მწკრივი არ ხდის მას ადვილად ცნობადს;

ზ) შეიცავს სასვენ ნიშანს ან სხვა სიმბოლოს, დიდი და პატარა ასოების კომბინაციას (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პირველი ასო დიდია, ხოლო დანარჩენი ასოები პატარა), ინდექსს, ქვეშმინაწერს ან რაიმე ფიგურას (გარდა აპოსტროფისა ('), მძიმისა (,), ორი არამიმდებარე ძახილის ნიშნისა (!), ან წერტილისა (.) თუ დეფისისა (-), წინ დახრილი (/) ან უკან დახრილი (\) ხაზის სიმბოლოებისა);

თ) ის შეიცავს ან შედგება ქვედა ინდექსის, ზედა ინდექსის, დიზაინის, ლოგოს ან გამოსახულებიანი ელემენტისგან.

მუხლი 6. ჯიშის დასახელება, რომელიც არის იდენტური ან შეიძლება აღრეული იყოს სხვა ჯიშის დასახელებასთან

1. ჯიშის დასახელების აღნიშვნისათვის არსებობს დაბრკოლება იმ შემთხვევაში, როცა იგი იდენტურია ან შეიძლება აირიოს ჯიშის დასახელებასთან:

ა) რომლითაც იგივე ან ახლომონათესავე სახეობის სხვა ჯიში არის შესული ჯიშების ოფიციალურ რეესტრში ან სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშების ეროვნულ კატალოგში;

ბ) რომლის ქვეშაც სხვა ჯიშის მასალა არის ბაზარზე განთავსებული სხვა სახელმწიფოში ან ,,მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის საერთაშორისო კავშირის'' (UPOV) კონტრაქტორი მხარის ტერიტორიაზე;

გ) გარდა იმ შემთხვევისა, როცა სხვა ჯიში აღარ არსებობს და მის დასახელებას არ შეუძენია რაიმე განსაკუთრებული მნიშვნელობა.

2. იმისათვის, რომ დადგინდეს, ხდება თუ არა შეცდომაში შეყვანა პირველი პუნქტის მიზნებისთვის, კომპეტენტური ორგანო ჯერ ცალკე აანალიზებს თითოეულ ვიზუალურ, ფონეტიკურ და კონცეპტუალურ ასპექტს და შემდეგ აკეთებს ზოგად შეფასებას და ამასთან, ითვალისწინებს იგივე ან ახლომონათესავე სახეობების ჯიშების დასახელებებს, იმ პირობით, რომ ამ პუნქტში და პირველ პუნქტში აღნიშნული ჯიშები

იყო მცენარის ჯიშის უფლების ან მისი გამოყენების საგანი, ან ოფიციალურად იყოს მიღებული ერთ-ერთი ქვეყნის ტერიტორიაზე ბაზარზე განსათავსებლად, კერძოდ ეს ტერიტორიებია:

ა) ევრო კავშირი;

ბ) ევროპის ეკონომიკური ზონა;

გ) UPOV-ის ხელმომწერი მხარე;

დ) ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრი ქვეყანა.

მუხლი 7. აღნიშვნები, რომლებიც ჩვეულებრივ გამოიყენება საქონლის ბაზარზე განთავსებისთვის

1. ჯიშის დასახელების აღნიშვნისათვის არსებობს დაბრკოლება, როცა ჯიშის დასახელება იდენტურია ან შეიძლება მოხდეს აღრევა აღნიშვნებში, რომელიც ჩვეულებრივ გამოიყენება საქონლის ბაზარზე განთავსებისთვის ან რომელიც უნდა იქნეს თავისუფლად შენახული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. აღნიშვნები, რომლებიც ჩვეულებრივ გამოიყენება საქონლის ბაზარზე განსათავსებლად, შემდეგია:

ა) დასახელებების ფართო გამოყენება;

ბ) წონასთან და ზომებთან ასოცირებული ტერმინები;

გ) გამოთქმები და ტერმინები, რომლებიც არ უნდა იქნას გამოყენებული სხვა მიზნით გარდა იმისა, რაც გათვალისწინებულია ეროვნული კანონმდებლობით.

მუხლი 8. შეცდომაში შემყვანი შინაარსის მქონე დასახელება

1. ჯიშის დასახელების განსაზღვრის დამაბრკოლებელი გარემოება არსებობს იმ შემთხვევაში, როდესაც ამ დასახელებამ შესაძლოა შეცდომაში შეიყვანოს ან გამოიწვიოს აღრევა ჯიშის მახასიათებლების, მნიშვნელობის ან იდენტობის, ან სელექციონერის ან წარმოებაში მონაწილე ნებისმიერი სხვა მხარის იდენტობის შესახებ.

2. ჯიშის დასახელებამ შესაძლოა შეცდომაში შეიყვანოს ან გამოიწვიოს აღრევა, თუ:

ა) იგი ქმნის მცდარ შთაბეჭდილებას, რომ ჯიში დაკავშირებულია სხვა კონკრეტულ ჯიშთან ან მისგან არის წარმოშობილი;

ბ) იგი ქმნის მცდარ შთაბეჭდილებას, რომ ჯიშს აქვს გარკვეული მახასიათებელი ან მნიშვნელობა;

გ) იგი მიუთითებს კონკრეტულ მახასიათებელზე ან მნიშვნელობაზე ისე, რომ ქმნის მცდარ შთაბეჭდილებას, თითქოს აღნიშნული მახასიათებელი ან მნიშვნელობა მხოლოდ ამ ჯიშისთვის არის დამახასიათებელი, მაშინ როდესაც იმავე სახეობის სხვა ჯიშებსაც შეიძლება ჰქონდეთ იგივე მახასიათებელი ან მნიშვნელობა;

დ) იგი მსგავსია საყოველთაოდ ცნობილი სავაჭრო დასახელებისა, გარდა რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნისა ან ჯიშის დასახელებისა;

ე) იგი ქმნის შთაბეჭდილებას, რომ აღნიშნული ჯიში სხვა ჯიშია;

ვ) იგი ქმნის მცდარ შთაბეჭდილებას განმცხადებლის, ჯიშის შენარჩუნებაზე პასუხისმგებელი პირის ან სელექციონერის ვინაობის შესახებ;

ზ) იგი შედგება შემდეგისგან ან შეიცავს:

ზ.ა) შედარებით ან აღმატებით ხარისხში გამოყენებულ სიტყვებს, რომლებმაც შესაძლოა შეცდომაში შეიყვანოს მომხმარებელი ჯიშის მახასიათებლებთან დაკავშირებით;

ზ.ბ) იმ სახეობის ბოტანიკურ ან საყოველთაოდ მიღებულ სახელწოდებას, რომელსაც აღნიშნული ჯიში მიეკუთვნება და რომელიც შედის სასოფლო-სამეურნეო კულტურების სახეობების ჯიშების ან ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების სახეობების ჯგუფში;

ზ.გ) ფიზიკური ან იურიდიული პირის სახელს ან მასზე მითითებას, რომელიც ქმნის მცდარ შთაბეჭდილებას განმცხადებლის, ჯიშის შენარჩუნებაზე პასუხისმგებელი პირის ან სელექციონერის ვინაობის შესახებ;

ზ.დ) იგი შეიცავს გეოგრაფიულ დასახელებას, რომელმაც შესაძლოა მომხმარებელი შეცდომაში შეიყვანოს ჯიშის მახასიათებლების ან მისი კულტივირებისა და გამოყენების მნიშვნელობის შესახებ.

დანართი

ახლომონათესავე სახეობები

ახლო მონათესავე სახეობებისათვის მოქმედებს შემდეგი პრობები:

ა) თუ გვარში არის ერთზე მეტი კლასი, გამოყენებული უნდა იქნეს ამ დანართის I ნაწილის კლასების სია;

ბ) თუ კლასები ერთზე მეტ გვარს მოიცავს, გამოყენებული უნდა იქნეს ამ დანართის II ნაწილის კლასების სია;

გ) ზოგადი წესია, რომ გვარებისა და სახეობებისთვის, რომლებიც არ არის გათვალისწინებული I და II ნაწილების კლასების სიებში, გვარი ითვლება კლასად.

ნაწილი I

კლასები	ბოტანიკური სახელწოდებები
კლასი 1.1:	Brassica oleracea
კლასი 1.2:	Brassica გარდა Brassica oleracea
კლასი 2. 1:	Beta vulgaris L. var. alba DC., Beta vulgaris L. var. altissima
კლასი 2. 2:	Beta vulgaris ssp. vulgaris var. conditiva Alef. (syn.: B. vulgaris L. var. rubra L.), B. vulgaris L. var. cicla L., B. vulgaris L. ssp. vulgaris var. vulgaris.
კლასი 2.3:	Beta გარდა 2.1 და 2.2. კლასებისა
კლასი 3.1:	Cucumis sativus
კლასი 3.2:	Cucumis melo
კლასი 3.3:	Cucumis გარდა 3.1 და 3.2 კლასებისა
კლასი 4.1:	Solanum tuberosum L.
კლასი 4.2:	პომიდორი და პომიდვრის საძირეები:

— Solanum lycopersicum L. (Lycopersicon esculentum Mill.)

— Solanum cheesmaniae (L. Ridley) Fosberg (Lycopersicon cheesmaniae L. Riley)

— Solanum chilense (Dunal) Reiche (Lycopersicon chilense Dunal)

— Solanum chmielewskii (C.M. Rick et al.) D.M. Spooner et al. (Lycopersicon chmielewskii C. M. Rick et al.)

— Solanum galapagense S.C. Darwin & Peralta (Lycopersicon cheesmaniae f. minor (Hook. f.) C. H. Müll.) (Lycopersicon cheesmaniae var. minor (Hook. f.) D. M. Porter)

— Solanum habrochaites S. Knapp & D.M. Spooner (Lycopersicon agrimoniifolium Dunal) (Lycopersicon hirsutum Dunal) (Lycopersicon hirsutum f. glabratum C. H. Müll.)

— Solanum pennellii Correll (Lycopersicon pennellii (Correll) D'Arcy)

— Solanum peruvianum L. (Lycopersicon dentatum Dunal) (Lycopersicon peruvianum (L.) Mill.)

— Solanum pimpinellifolium L. (Lycopersicon pimpinellifolium (L.) Mill.) (Lycopersicon racemigerum Lange) და ამ სახეობებს შორის ჰიბრიდები

კლასი 4.3: Solanum melongena L.

კლასი 4.4: Solanum გარდა 4.1, 4.2 და 4.3 კლასებისა

ნაწილი II

კლასები	ბოტანიკური სახელწოდებები
კლასი 201:	Secale, Triticosecale, Triticum
კლასი 203*:	Agrostis, Dactylis, Festuca, Festulolium, Lolium, Phalaris, Phleum დაPoa
კლასი 204*:	*Lotus, Medicago, Ornithopus, Onobrychis, Trifolium*
კლასი 205:	*Cichorium, Lactuca*

* კლასები 203 და 204 არ არის მხოლოდ დაფუძნებული ახლო მონათესავე სახეობებზე

განმარტებითი ბარათი

საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი **„სასოფლო-სამეურნეო კულტურათა სახეობების ჯიშებისა და ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების სახეობების დასახელებების შესაბამისობის შესახებ**

ინფორმაცია პროექტის შესახებ

პროექტის მომზადება განპირობებულია ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების და მისი „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ“ ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებით. კერძოდ, ზემოაღნიშნული შეთანხმების თანახმად, საქართველოს მიერ უნდა განხორციელდეს სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სფეროების მარეგულირებელი კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან. ამ მიზნით საქართველოს მიერ DCFTA-ს ძალაში შესვლის შემდეგ მომზადდა იმ რეგულაციების და დირექტივების ჩამონათვალი, რომლებთანაც უნდა მოხდეს საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივი დაახლოება. შეთანხმების XI-B დანართი, რომელიც შესწორებულია საქართველო-ევროკავშირის სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ქვეკომიტეტის 2023 წლის 6 მარტის №1/2023 გადაწყვეტილებით, შეიცავს ევროკავშირის იმ საკანონმდებლო აქტების ჩამონათვალს, რომლებთანაც უნდა მოხდეს ეროვნული კანონმდებლობის აპროქსიმაცია (SPS საკანონმდებლო ნუსხა) დაახლოების ვადების მითითებით. მათ შორის არის კომისიის 2021 წლის 3 მარტის დამნერგავი რეგულაცია 2021/384 სასოფლო-სამეურნეო კულტურათა სახეობებისა და ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების სახეობების ჯიშების დასახელებების შესაბამისობის შესახებ და 2009 წლის № 637 რეგულაციის (EC) გაუქმების თაობაზე (COMMISSION IMPLEMENTING REGULATION (EU) 2021/384 of 3 March 2021 on the suitability of the denominations of varieties of agricultural plant species and vegetable species and repealing Regulation (EC) No 637/2009).

პროექტი ადგენს დეტალურ წესებს სასოფლო-სამეურნეო კულტურათა სახეობების ჯიშების და ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების სახეობების დასახელების შესაბამისობის თაობაზე.

პროექტის მიღების შედეგად სასოფლო-სამეურნეო კულტურათა სახეობებისა და ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების სახეობების ჯიშების დასახელებები შესაბამისობაში მოვა ევროკავშირის N2021/384 რეგულაციის მოთხოვნებთან.

ინფორმაცია ევროკავშირის სამართლებრივი აქტის შესახებ

პროექტი მომზადებულია კომისიის 2021 წლის 3 მარტის დამნერგავი რეგულაციის 2021/384 „სასოფლო-სამეურნეო კულტურათა სახეობებისა და

ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების სახეობების ჯიშების დასახელებების შესაბამისობის შესახებ და 2009 წლის № 637 რეგულაციის (EC) გაუქმების თაობაზე (COMMISSION IMPLEMENTING REGULATION (EU) 2021/384 of 3 March 2021 on the suitability of the denominations of varieties of agricultural plant species and vegetable species and repealing Regulation (EC) No 637/2009)-ის საფუძველზე და წარმოადგენს N2100/94 რეგულაციის დამნერგავ რეგულაციას.

ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება

პროექტი არ ახდენს ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე ზეგავლენას.

ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე სამართლებრივი აქტის ზეგავლენის შეფასება

პროექტი არ ახდენს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენას.

პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება

პროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე და არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

პროექტის მოსალოდნელი შედეგები

პროექტის მიღების შედეგად, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა სახეობებისა და ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების სახეობების ჯიშების დასახელებები შესაბამისობაში იქნება ევროკავშირის N2021/384 რეგულაციის მოთხოვნებთან.

ამ წესის შესრულებას კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს სსიპ - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“.

პროექტის განხორციელების ვადები

პროექტი ამოქმედდება 2027 წლის 1 ივნისიდან.

პროექტის ავტორი და წარმდგენი

პროექტის ავტორი და წარმდგენია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.